18 აპრილი - ძეგლების და ღირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო დღე!

თბილისური ისტორიული სახლის ტრადიციული დუღაბის მომზადება და გამოყენება

პრაქტიკული სემინარი
(ვორკშოფი)

16-17 აპრილი, 2022
თბილისი, მეფე სოლომონ ბრძენის ქ.# 33

ვორკშოფის შესახებ

18 აპრილის მიზანია კიდევ ერთხელ მიაპყროს ფართო საზოგადოების ყურადღება მემკვიდრეობის მნიშვნელობასა და მასთან დაკავშირებულ გამოწვევებს.

2022 წელს საერთაშორისო ICOMOS გვთავაზობს თემას: **„მემკვიდრეობა და კლიმატი“** და ხაზს უსვამს კულტურული მემკვიდრეობის როლს კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ქმედებაში.

ICOMOS საქართველომ ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსებით და ნორვეგიის კულტურული მემკვიდროების დირექტორატთან (Riksantikvaren) თანამშრომლობით განახორციელა პროექტი - ‘კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სიცოცხლისუნარიანი რეაბილიტაცია’, რომლის ფარგლებში ჩატარდა ტრადიციული სამშენებლო მასალის კვლევა და შემუშავდა პრაქტიკული სემინარების სერია ტრადიციულ სამშენებლო მასალასა და ტექნიკაზე. პრაქტიკული სემინარი ‘თბილისური ისტორიული სახლის ტრადიციული დუღაბის მომზადება და გამოყენება’ სრულად ეთანხმება ევროკავშირისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას - მდგრადობას და კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ქმედებას.

საერთაშორისო ICOMOS, მისი კლიმატის ცვლილების სამუშაო ჯგუფის საქმიანობის ფარგლებში, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, 2019 წლიდან აქტიურად მუშაობს კლიმატის ცვლილების საკითხებზე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კონტექსტში. ICOMOS - ის მე-20 გენერალურ ასამბლეაზე ორგანიზაციამ მიიღო რეზოლუცია - „კულტურული მემკვიდრეობა და კლიმატის საგანგებო მდგომარეობა“. 2020 წელს კი მემკვიდრეობის, კლიმატის და ფინანსურმა ორგანიზაციებმა და ექსპერტებმა შეიმუშავეს ევროპის კულტურული მემკვიდრეობის მწვანე დოკუმენტი, რომელიც „ევროპის ზიარ მემკვიდრეობას აყენებს ევროპის მწვანე შეთანხმების ცენტრში“.

ევროპის კულტურული მემკვიდრეობის მწვანე დოკუმენტი შემუშავდა Europa Nostra - ს მიერ ICOMOS - თან და Climate Heritage Network - თან თანამშრომლობით, European Heritage Alliance - ის წევრების მონაწილეობით. დოკუმენტს მხარს უჭერს European Investment Bank Institute და ევროკავშირის Creative Europe პროგრამა.

მწვანე დოკუმენტი ზედმიწევნით რელევანტურია და პასუხობს ევროკომისიის ისეთ მნიშვნელოვან ახალ წამოწყებას, როგორიცაა ახალი ევროპული ბაუჰაუსის ინიციატივა. ახალი ევროპული ბაუჰაუსი შემოქმედებითი და მრავალდისციპლინარული ინიციატივაა, რომელმაც უნდა შექმნას სივრცე, სადაც გადაიკვეთება ხელოვნება, კულტურა, სოციალური ჩართულობა, მეცნიერება და ტექნოლოგია. ბაუჰაუსის ინიციატივამ ხელი უნდა შეუწყოს ევროპული მწვანე შეთანხმების პრაქტიკულ განხორციელებას. ეს ინიციატივა უპრეცედენტოდ გახსნილია ყველასთვის და მოგვიწოდებს ჩართულობისკენ მდგრადი, ინკლუზიური და ბედნიერი მომავლისთვის.

საკითხის მნიშვნელობიდან და აქტუალურობიდან გამომდინარე ICOMOS საქართველო პრაქტიკული სემინარის - ‘თბილისური ისტორიული სახლის ტრადიციული დუღაბის მომზადება და გამოყენება’ - ფარგლებში სტუდენტებს, ახალგაზრდა სპეციალისტებს და

მშენებელ - კალატოზებს სთავაზობს ორ-დღიან სერტიფიცირებულ პრაქტიკულ ვორკშოფს, რომლის ფარგლებში მონაწილეებს საშუალება ექნებათ გაეცნონ თბილისური დუღაბის კვლევის შედეგებს, მომზადების ტექნოლოგიას და მონაწილეობა მიიღონ პრაქტიკულ აქტივობებში, რომლის დროსაც ისინი თავად შეძლებენ, ტრადიციული კირის და ასევე თბილისური მიწის დუღაბის მომზადებას და გამოყენებას, როგორც ამგოზვისთვის, ისე კედლის დასაწყობად. სემინარი მოიცავს, როგორც თეორიულ ნაწილს, ასევე პრაქტიკულ აქტივობებს.

ვორკშოფის მიზანი

ვორკშოფის მიზანია ცნობიერების ამაღლება კულტურული მემკვიდრეობის როლის შესახებ კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ, საპილოტე პროგრამის ფარგლებში ჩატარებული კვლევების შედეგების და მიღებული გამოცდილების გაზიარება - დაინტერესებული სპეციალისტებისთვის და სტუდენტებისთვის თბილისური საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში გამოყენებული დუღაბის მახასიათებელების, მისი მომზადების ტექნოლოგიისა და გამოყენების სპეციფიკის გაცნობა.

ამასთან, გვსურს წარმოვაჩინოთ ამ ტიპის დუღაბების გამოყენების მნიშვნელობა ისტორიული ძეგლების რეაბილიტაციის პროცესში და მისი უპირატესობები სხვა თანამედროვე და მაღალტექნოლოგიურ დუღაბებთან შედარებით.

პრაქტიკული სემინარის ვიდეო ჩანაწრები და მის ფარგლებში გამოყენებული სასწავლო და სადემონსტრაციო მასალები ხელმისაწვდომი იქნება ICOMOS საქართველოს ოფიციალურ ვებ გვერდზე.

ვორკშოფზე რეგისტრაცია

რეგისტრაციისთვის თქვენი CV გამოგვიგზავნეთ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: info@icomos.org.ge

COVID-19

პრაქტიკულ სემინარზე გათვალისწინებული იქნება კორონავირუსის რისკების თავიდან აცილებისთვის საჭირო ყველა ინსტრუქცია, რისი შესრულებაც აუცილებელია ყველა მონაწილისთვის.

როდის?

16-17 აპრილი, 2022.

მისამართი: ქ. თბილისში მეფე სოლომონ ბრძენის ქ. № 33

ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭოს საქართველოს ეროვნული კომიტეტი (ICOMOS საქართველო)

ICOMOS საქართველო არის არასამთავრობო, არამომგებიანი პროფესიული ორგანიზაცია, რომელიც დაფუძნდა 1993 წელს, როგორც ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭოს (**ICOMOS**) ეროვნული კომიტეტი. ორგანიზაცია მოწოდებულია ICOMOS-ის ქარტიების, რეკომენდაციებისა და დეკლარაციების შესაბამისად ხელიშეუწყოს კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციის მაღალი სტანდარტების განვითარებასა დგილობრივ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე. ამ მიზნით ICOMOS საქართველო ახორციელებს, უნარ-ჩვევების ამაღლების, გათვითცნობიერების და სპეციფიკურ საპილოტო პროგრამებს/პროექტებს.

ბეთლემის აღმართი #16 ბ
თბილისი. 0105
კონტაქტი: ლელა ნინოშვილი
+995 599 636 361, info@icomos.org.ge
www.icomos.org.ge